საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა რევოლუციური პარტიის                                   მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 45,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 150,000 მ.; უკანასკნელზე 100,000 მ. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—85.

ფასი 5000 მან.

№ 180

ტფილისი, [illegible]

1922 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ტრიბუნა

ორგანო მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარი კომიტეტისა.

1922 წლის 1 იანვრიდან თვეში გაგზავნით ღირს 120,000 მანეთი.
ცალკე ნომერი ყველგან 5000 მანეთი.

უფასოდ გაზეთი აღარავის გაეგზავნება.

ხელის მოწერა მიიღება თვის 1 რიცხვიდან.

რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, სასახლის ქ. № 6.

## ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის სამმართველოს განყოფილება ამით საყოველთაოდ აცხადებს,

### რომ ყველა ის მოქალაქეები,

რომლებიც უკვე აწარმოებენ ვაჭრობა-მრეწველობას და ამა წლის აპრილის ხუთამდის არ აიღებენ ამის კანონიერ უფლებას, თანახმად ამა წლის იანვრის 14-დან ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმის № 1 სავალდებულო დადგენილებისა, აპრილის 5-დან სრულიად კარგავენ ქალაქის ფარგლებში ვაჭრობის უფლებას და მათ სასწრაფო წესით ჩამოერთმევათ მაღაზიები ახალ მოიჯარადრეებზე გადასაცემათ. იქ აღმოჩენილი საქონელი გაიყიდება საჯარო ვაჭრობით საბინაო ქირის გასანაღდებლად, ხოლო თვით დამნაშავე ვაჭარ-მრეწველები დაისჯებიან ადმინისტრატიული წესით სამმართველოს განყოფილების გამგის ხელისუფლებით—6 თვემდე გასაწოებელ სახლში მოთავსებით ან 25 მილიონი მან. დაჯარიმებით.

ტფილისის აღმასკომის სამმართველოს განყოფილება.

## ბრძოლა სიმშილობასთან

**სიმშილობა საქართველოში**

საქართვ. ყველა ადგილებიდან დამშეულთა დახმარების მთავარ კომიტეტს მოსდის ცნობები სიმშილის გაძლიერების შესახებ. სიმშილობს: ბორჯომის რაიონი სოფ. ციხისჯვარი; ტფილისის მაზრაში—წალკის რაიონი, სოფ. წინწყარო და სოფ. ყარაიაზში 286 კომლი, ბორჩალოს მაზრაში სოფ. შილიჩი; ლეჩხუმის მაზრაში—თითქმის მთელი მაზრა, განსაკუთრებით სოფ. ლაშის ღელე, რომლის მცხოვრებმა დაყიდეს ყველაფერი, რისი გაყიდვაც შეიძლებოდა და არა აქვთ საშუალება არა მარტო სასოფლო სამეურნეო იარაღების და სათეს მასალის შეძენის, არამედ სასურსათო პროდუქტებისაც. ქუთაისის მაზრაში—სოფ. ზედა სიმონეთი და გამოჩინებულის რაიონი; სენაკის მაზრაში ზოგიერთი რაიონები, განსაკუთრებით—აბაშის; მთლად სიმშილობს შორაპნის და რაჭის მაზრები.

გურიაში სიმშილი ღებულობს საშინელ ხასიათს, განსაკუთრებით მის ზემო ნაწილში. ყველა ეს რაიონები საჭიროებენ სასწრაფო დახმარებას, უმთავრესად სათეს მასალით. წინააღმდეგ შემთხვევაში დამშეულ რაიონებს ემუქრება სიკვდილი სიმშილისაგან.

**გურიაში.** დამშეულთა დახმარების ოზურგეთის სამაზრო კომიტეტი აცნობებს საქ. დამშ. დახ. მთავარ კომიტეტს, რომ მან დაიწყო შემოწირულების შეგროვება მთელ გურიაში, გამოცემულია მოწოდება ყველა მშრომელთა და პაპატიოსან მოქალაქეთა მიმართ დამშეულთა და დების დახმარების შესახებ.

**სამხრეთ ოსეთში.** საქართველოს დამშეულთა მთავარ კომიტეტმა, სამხრეთ ოსეთის დამშეულთა დასახმარებლად მიიღო დეპეშა, რომ ყოველ დღე საუარებელი დამშეულთა ბრბო ესევა ალკომიტეტს სამხრეთ ოსეთისას და მოითხოვენ პურს. ხშირია სიმშილით სიკვდილი. საჭიროა სასწრაფო დახმარება, წინააღმდეგ შემთხვევაში მცხოვრებლებს სიმშილით სიკვდილი ემუქრებათ.

**ამერიკის დახმარება.** საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარ კომიტეტმა შორაპნის მაზრაში გაგზავნა ორი ვაგონი სიმინდი (1500 ფ.) შეწირული ახლო აღმოსავლეთის დამშეულთა დამხმარე ამერიკის კომიტეტის მიერ, სიმინდი მიეცემათ მცხოვრებლებს დამშეულთა დამხმარე ამერიკის მთავარ კომიტეტის წარმომადგენლის თანდასწრებით.

**დამშეულ ადგილების გამორკვევა.** სრული ცნობების მისაღებათ და სიმშილის რაოდენობის გამოსარკვევად საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარ კომიტეტი გზავნის დამშეულ რაიონებში თავის წარმომადგენლებს, არიგებენ დაწვრილებით ანკეტას სიმშილის გამოსარკვევად.

## შავ დაფაზე

ქართველ მშრომელ ხალხს დიდი უბედურება დაატყდა თავს. ეს უბედურებაა სიმშილი—ულმობელი სტიქიური საშინელება. დღემდე ჩვენს გლეხკაცობას აწუხებდა სიძვირე, სანოვაგის ნაკლულოვანება, საერთო ცხოვრების მოუწესრიგებლობა. მაგრამ იგი მაინც იმით იყო ბედნიერი, რომ საკუთარის შრომით ნაამაგარი პური და სიმინდი საკმაოდ მოეპოვებოდა. ამ ჟამად კი მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა. გლეხის ქოხის კარებთან ამართულია სიკვდილის ჩონჩხი, რომელიც ემუქრება შრომის შვილებს სიმშილით ამოწყვეტას, ფიზიკურად განადგურებას.

საშიშ მოვლენის წინაშე ვსდგევართ: განსაცდელშია ერის საღი და სასიცოცხლო ნაწილი. შორაპნის მაზრაში უკვე გაიმაგრა ტახტი მეფე სიმშილმა. მცხოვრებთა დაახლოებით 60 პროცენტი დამშეულია, ხოლო 25% განიცდის სისტემატიურ სიმშილს. გურიის აღმოსავლეთი ნაწილი უკვე გადაიქცა სიმშილის ფრონტად. უარესი მდგომარეობაა სამეგრელოს ნოყიერ მიწა-წყალზედაც. მაგ. სოფ. მარანი (სენაკის მაზრა) „ამ ჟამად იმდენად დაზარალებულია და განიცდის ისეთ სიმშილობას, რომ ამ ნიადაგზე სიმშილისაგან ჭკუაზე შეშლას ჰქონდა ადგილი. ხალხი აუტანელ მდგომარეობაშია. არ მოიძებნება არავითარი საზრდო და მით უმეტეს არც სათესი. ახლა შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ თუ დახმარება სასწრაფოდ არ იქნა, თემს მთელის სრული განადგურება“. ასეთია ცნობა, რომელიც მოუვიდა დამშეულთა დამხმარე კომიტეტს და რომელიც წარმოადგენს შიმშილობის განვითარების ზოგადი სახის დამახასიათებელ ილიუსტრაციას.

ასეთია მდგომარეობა დღეს, გაზაფხულის დასაწყისს. რა იქნება შემდეგ, ადვილი წარმოსადგენია, გლეხობის უმეტესს ნაწილს დღეს კიდევ ყოფნის საკუთარი მჭადი, მაგრამ ხვალ იგი უსათუოდ დარჩება ულუკმა-პუროდ, რადგან საკუჭნაო ცარიელი აქვს უკანასკნელი ფუთი სიმინდი წისქვილში გაგზავნილი. ცხადია, სიმშილობა მიიღებს უფრო ფართო და სასტიკ ხასიათს. კიდევ მეტი, იგი გახანგრძლივდება, მომავალ წელსაც გვეწვევა, თუ გლეხობა სათესი მასალით არ იქნა უზრუნველყოფილი და მინდვრები დაუმუშავებელი და დაუთესილი.

ყოველ ქართველს, რომელსაც სწამს ერის მომავალი და ესმის მშრომელი გლეხობის როლი ჩვენი ერის ცხოვრებაში ჩააფიქრებს ეს მოვლენა!

ხელისუფლებამ მიმართა აქტიურ ზომებს სიმშილობის წინააღმდეგ საბრძოლველად. დაარსდა ცენტრალი დამხმარე კომიტეტი. მაგრამ დღემდე ძლიერ ცოტაა ამ დარგში, მეტად სერიოზულ დარგში გაკეთებული. რას მიეწერება ეს, ხელისუფლების ორგანოების უმოქმედობას, უილაჯობას? არ გვგონია! საქმე იმაშია, რომ ჩვენი „საზოგადოება“ სრულებით არაა დაინტერესებული ქართველი გლეხის ბედილბალით, მას არ აწუხებს ღარიბ გლეხობის შორის დატრიალებული სიმშილის და სიკვდილის ცელი. ჩვენ ვამბობთ შეძლებულთა კლასზე: ვაჭარ-მრეწველთა და ჩარჩ-სპეკულიანტების შესახებ. ამ ხალხს „იპყრობდა“ გლეხის ცხოვრება, უმეტესად სოფელში ტრიალებდა, რათა გამოეცალა გლეხისაგან პურის უკანასკნელი ნატეხი საკუთარი ჯიბის გასასქელებლად. პოლიტიკაში იგი „დემოკრატიაზე“ გაიძახოდა. სად არის ეს ხალხი დღეს? რატომ არ არის იგი დაინტერესებული ერის ჯან-საღ ნაწილის მდგომარეობით? განა გლეხის უბედურება არ არის ნიშანი მისი „ეკონომიური ძლიერების“ შენელებისა? რა უნდა გამოგლიჯოს, გამოაცალოს ხელიდან გლეხს სოფლის წურბელამ, როდესაც გლეხს არ ექნება არაფერი? რით უნდა იყიდოს ვაჭრისაგან საქონელი მიწის მუშამ, თუ კი იგი „ჯიბის ჭლექით“ დასნეულებულია! განა არა აქვს ასეთ ელემენტარი ჭეშმარიტების შეგნება ამ მუქთახორა კლასს?!

ამას წინად საქ. დამშეულთა დამხმარე კომიტეტმა სამდღეული მოაწყო და სათანადო მოწოდებით მიმართა ყველა ქართველს და არა ქართველს, განსაკუთრებით—ვაჭარ-მრეწველებს. „ქუდზე კაცი“, „დაეხმარეთ დამშეულებს“—აი რას შეიცავდა მოწოდების შინაარსი. შედეგად მივიღეთ ის, რასაც არ მოველოდით. ჩვენი გაზეთის 178 ნომერში უკვე იყო დაბეჭდილი საორგანიზაციო ბიუროს მელანქოლიური ცნობა: ბევრმა ვაჭარ-მრეწველთაგანმა პირდაპირ უარი განაცხადა დახმარებაზე და ზოგმა კი დუქანი დაჭკეტა. (მოყვანილია სახელი და გვარი ამ პარაზიტების). დამშ. დამხმარე კომიტეტის ბინის ვიტრინაზე გამოქვეყნებულ იმ პირთა სია, რომლებმაც არ მოიხადეს თავისი მოვალეობა და არ მოიხადეს თავისი წვლილი დამშეულთა დასახმარებლად.

სირცხვილი მათ! შავი დაფაზე აღინიშნებიან ისინი. ისტორია სამარცხვინო ბოძზე გააკრავს მათ. ხოლო მშრომელთა კლასი არ დაივიწყებს მათ „გულკეთილობას“.

გ. მუშიშვილი.

## ამხანაგი ჩიჩერინი გენუის კონფერენციის შესახებ

მოსკოვი, 28 მარტი. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი სახელმწიფონი სკეპტიკურად არიან განწყობილნი და ზოგნი მტრულად გენუას კონფერენციისადმი, მზადება მისთვის მაინც გრძელდება. ანტანტის დიდ მპყრობელთა ექსპერტები იმუშავებენ ლონდონში პროექტებს. რუსეთის მთავრობამ პროტესტი გამოუცხადა სხვა მთავრობათა სურვილებს, რომელთაც სურთ დააყენონ ის გენუაში შესრულებულ ფაქტის და წინასწარ გამომუშავებულ პროექტის წინაშე, რომელიც შემუშავებული არის რუსეთის დაჭკითხავად და მისი მონაწილეობის გარეშე. ჩვენი დელეგაცია ემზადება, რათა მედგრად შეხვდეს და გადაიტანოს მკაცრი ბრძოლა, ბურჟუაზიულ მთავრობათა ხელმძღვანელებთან.

ანტანტის ექსპერტთა მომზადების შესახებ ბევრი ცნობებია გამოქვეყნებული, მაგრამ ნამდვილი, სარწმუნო კი არა ისმის რა. საფიქრით შესაძლებელია რომ ეს საზოგადო ცნობები მიზნად ისახავენ ანტანტის მთავრობათა ნამდვილი სურვილები დამალონ.

ეს მთავრობები თვით კონფერენციის გახსნამდე დამალავენ თავიანთ კონკრეტულ წინადადებებსა და მათ განკარგულებაში არსებულ მასალებს. ჩვენი დელეგაცია იძულებულია ასეთი ტაქტიკას დაადგეს.

ის ჩავარდებოდა არა თანასწორსა და, არა ხელსაყრელ მდგომარეობაში თუ ის ადრე გამოაქვეყნებდა თავის დამოუკიდებლობას სხვა ქვეყნების შესაძლო პროექტებთან, მაშინ როდესაც მეორე სახელმწიფოს საიდუმლოთ ინახავს ყოველთვის.

სწორედ ეს აიძულებს ჩვენს დელეგაციას ძალიან ფრთხილად იყოს რათა მეორე მხარემ არ განზრახოს დრომდე ის მსვლელობა (ходы) რომლითაც ჩვენი დელეგაცია უპასუხებს მეორე მხარის მსვლელობას.

პრინციპიალური მდგომარეობა ჩვენი დელეგაციისა საკმაოდ ცნობილია: ის ულტიმატიურად დაიცავს საბჭოთა წყობილების ხელშეუხებლობას და რუსეთის მთავრობის სუვერენულ უფლებებს და მასთანვე საბჭოთა ეკონომიურ საფუძვლებსაც, რომელთა უარყოფა შეჰქმნიდა საშიშროებას საბჭოთა წყობილების არსებობისათვის და რუსეთის მშრომელ მასას გადააქცევდა მონებად. რუსეთის მუშურ-გლეხური მთავრობა და მისი სუვერენული უფლება არ უნდა განიცდიდეს არავითარ დამცირებას მშრომელ მასათა უფლებები, რომელნიც უზრუნველყოფენ. მათ ყოველგვარ ფორმის მონობისაგან უეჭველად ხელშეუხებელი უნდა დარჩეს და მასთან შენახულ უნდა იქნას დიდის მზრუნველობით და ყურადღებით.

მუშურ გლეხურ მართველობის სუვერენულ უფლებათა ხელშეუხებლად შენარჩუნების საზღვრებში, მშრომელი მასისა წყობილების უფლებებისა და საბჭოთა ეკონომიურ საფუძვლების დაცვის ფარგლებში სრულიად დასაშვებია უცხო კაპიტალთან შეთანხმება, რომელიც შემოფარგლული იქნება ხელშეკრულების პირობები, და ჩვენ მომავალ კონტრაგენტებსაც საკმაო მოგებას მისცემენ, რითაც მოვიზიდავთ მათ ჩვენსკენ და ამავე დროს რუსეთის ტრანსპორტსა წარმოებასაც აღორძინებასაც და განვითარებას ხელს შეუწყობს რუსეთის ბუნებრივი სიმდიდრე განსახილველია, მაგრამ საუბედუროდ ჩვენ მისი დასამუშავებელი საწარმოო იარაღები არა გვაქვს.

ის რაც ჩვენთვის აუცილებელი საჭიროა ჩვენი მეურნეობის აღსადგენად და გასავითარებლად, შეგვიძლია მივიღოთ საზღვარ გარეთიდან სესხის სახით ან უცხო კაპიტალის მოზიდვა მედინცესნის საფუძვლებზე ერთიც და მეორეც საკმარისად აწონ დაწონილი მორიგება არის, რომელიც მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას მთლიანად უტოვებს მთელს მისს უფლებებს და სახალხო მეურნეობასაც საკმაო მოგებასაც აძლევს რომლის მიღება სხვა გზით შეუძლებელი იქნებოდა და ამასთანავე უნდა საზღვარგარეთულ კაპიტალსაც მოგებას აძლევს, რაც აუცილებელი საჭიროა მისი მიზიდვისათვის.

რუსეთის მხრით საჭიროა არა მსხვერპლის გაღება, არამედ საკმარისია მხოლოდ მოსალოდნელი მოგების ნაწილის გაღება. საქმე შეეხება არა რუსეთის რომელიმე ბუნებრივი დოვლათის დაკარგვას, წინააღმდეგ, მისი მეურნეობის განვითარებას, მისი ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენებისა და მეურნეობის განაყოფიერებას იმ საშუალებას, რომ ნაწილი მოგებისა დაუთმოს უცხოელ კაპიტალს, რომელიც აძლევს რუსეთს საჭირო იარაღს ტრანსპორტისა და წარმოებისათვის.

ჩვენი რკინის გზები ორთქმავალთა და მოძრავ შემადგენლობის დიდ მოთხოვნილებას განიცდიან, და რადგან ჩვენ თვითონ არ ძალგვს მათი დამაკმაყოფილებელი რიცხვი დავამზადოთ ამისათვის უცხოთი კაპიტალმა ან უნდა მოგვყიდოს ის და ან კიდევ დაამზადოს თვითონ რუსეთში. ჩვენი და სასოფლო მეურნეობისათვის საჭიროა თესლი, მუშა პირუტყვის სამეურნეო იარაღების; ჩვენ გლეხს არ ძალუძს სასურველ პირობებში ჩააყენოს მეურნეობა, თუ მას, თესლი საჭირო სამეურნეო იარაღები და სხვა საქონელი არ ექნება ამითი საზღვარ გარეთიდან შემოტანა ჩვენთვის შესაძლებელი იქნება თუ ცოტაოდენ ფასს გავიღებთ იმ მოგებიდან, რომელსაც მივიღებთ ჩვენი სასოფლო მეურნეობის უცხო კაპიტალის, განაყოფიერებით, ვიმეორებ, რომ საქმე შეეხება არა მსხვერპლის გაღებას, არამედ ორთავე მხარისათვის მოგების მოტანაზე.

(დასასრული არ არის მიღებული).

# გენუას კონფერენციის გარშემო

**ლოიდ ჯორჯი ნდობას თხოულობს.**

**მოსკოვი.** 27 მარტი. როგორც ლონდონიდან იტყობინებიან, ლოიდ ჯორჯს განზრახვაა მოითხოვოს თემთა პალატისაგან ნდობა მთავრობისადმი. მის მიერ დაჭერილ პოზიციის შესახებ, გენუას კონფერენციის საკითხში პოლიტიკურ წრეებში გაცხოველებული კომენტარიებისა.

„დეილი ხრონიკელი" მოწინავეში ამბობს: „დღე, როდესაც ყველა სახელმწიფოები ევროპისა პირველათ, 1914 წლის შემდეგ, შეიკრიბებიან საერთო (გამოწვევზულია), არც მოკავშირეთა და ყოფილ მტრებს შორის, არც დასავლეთსა და აღმოსავლეთ შორის—ეს დღე აღინიშნება ლირსშესანიშნავ დღედ ისტორიაში. ჩვენ ღრმათ დარწმუნებული ვართ, რომ ამ საკითხში პრემიერ მინისტრს შეუძლია იმედი იქონიოს ქვეყნის ყველა ცხადად მოაზროვნე ელემენტთა თანაგრძნობაზე".

**პოლონეთის გაზეთიდან.**

**მოსკოვი.** 26 მარტი (რადიო) პოლონეთის გაზეთი გვატყობინებს გენუის კონფერენციაზე გასაგზავნ პოლონეთის დელეგაციის წევრთა სიას; პრემიერ მინისტრის მოადგილე სტესლოკიჩი მინისტრი ინდელ სვირმუნტი, ელჩი რომში ზალესსკი და ელჩი რიგაში იოდმეო.

**„ტაიმ" კონფერენციის შესახებ.**

**მოსკოვი** 26 მარტი „ტაიმს" წინანდელზურად უარყოფით უცქერის კონფერენციას, მიუხედავათ ექსპერტთა მოლაპარაკებისა. გაზეთი სწერს, რომ შექმნილ პირობების გამო ადვილი შესაძლოა კონფერენცია საერთაშორისო პოლიტიკურ კინკლაობის ადგილად გახდეს, და ეს კი შექმნის მას ზოგიერთ მოკავშირე სახელმწიფოებისთვის დიდათ საშიშარს.

**საფრანგეთის დელეგაცია.**

**მოსკოვი,** 27 მარტი. როგორც ბორდოდან იტყობინებიან ვივიანს უარი განუცხადებია პუანკარეს მიერ მიცემულ კონფერენციაზე წასასვლელ საფრანგეთის დელეგაციის თავმჯდომარის პოსტზე. თანახმად „პტი პარიზიენის" ცნობისა კონფერენციაზე საფრანგეთის დელეგატებათ იქნებიან: ბარტუ, დოლატური, სეიდუ და ფინანსთა მინისტრის ამხანაგი სერვანი.

**ამერიკა კონფერენციაზე.**

**მოსკოვი.** 26 მარტი „დეილი ტელეგრაფი" გვატყობინებს, რომ თვალყურის მდევნელათ შეერთებულ შტატებისაგან გენუას კონფერენციაზე დანიშნულია ამერიკას ელჩი რომში ჩაილდი.

**ინგლისის დელეგაცია.**

**მოსკოვი** 26 მარტი. ინგლისის დელეგაცია გენუაში გაყოფილი იქნება 3 ჯგუფად, პირველი ჯგუფი გაემგზავრება გენუაში 4 აპრილს.

**რომი.** 25 მარტი. გენუაში მოვიდა ამერიკის ბანკირი ვანდერ ლიპი, რომელმაც განაცხადა, რომ ის დაესწრება ამერიკის არა ოფიციალური წარმომადგენლის სახით თვალყურის დევნების მიზნით.

**ექსპერტთა თათბირი.**

**მოსკოვი,** 26 მარტი. 22 მარტის თარიღით ლონდონიდან გვატყობინებენ; ექსპერტთა კონფერენციის პირველი ორი დღე მონდომდა ბრიტანეთის მემორანდუმს, სადაც მეტ ნაწილათ მსჯელობა, რუსეთთან ვაჭრობაზე მიდის მოსალოდნელია საფრანგეთის მემორანდუმის განხილვა, რუსეთის მრეწველობის აღდგენის საკითხის შესახებ, რომელსაც საფუძვლად უდევს ზონათა სისტემა. ინგლისის პრესა გვაცნობებს, რომ ინგლისის წინადადებანი მოწონებულ იქმნენ კონფერენციის მიერ ისინი იქამდე მიდიან, რომ სცვლიან ომის წინა, ობლიგაციებით გამოშვებულ ვალებს, რომლის პროცენტებით გადახდილ უნდა იქნას განსაზღვრულ დროს განმავლობაში. იტალიელებს განზრახვა აქვთ გაგზავნონ რუსეთში ტეხნიკური და სპეციალური მისიები.

„მორნინგ პოსტი" იუწყება, ძალიან ცოტა იმედები უნდა ვიქონიოთ, რომ გენუას კონფერენციაზე რაიმე საერთო გადაწყვეტილება იქნას მიღებული. თვითეული სახელმწიფო ილაპარაკებს მხოლოდ თავის სახელით. ამასვე გამოთქვამენ „ტაიმსი" და „მონჩესტერ გარდიანი".

**ექსპერტთა თათბირი რუსეთზე**

**მოსკოვი.** 27 მარტი. (რადიო) როგორც ბორდოდან იტყობინებიან მოკავშირეთა ექსპერტების სხდომაზე გადაუწყვეტიათ, წესიერი ვაჭრული დამოკიდებულების აღდგენა რუსეთთან შესაძლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა ხელისუფლება დაუბრუნებს მესაკუთრეებს კონფისკაციით ჩამორთმეულ კერძო საკუთრებას, მანამდე კი იცნობს კომპენსაციის შესაფერ პრინციპს.

**ლოიდ ჯორჯი გენუაში.**

**ნაუენი.** 27 მარტი. ლონდონის ავტორიტეტულ გაზეთების ცნობით, ლოიდ ჯორჯი მივა გენუაში აპრილის 8-ს.

**რუსეთის დელეგატების გამგზავრება.**

**პარიზი.** 27 მარტი. შვეიცარიის ფედერალურ საბჭომ დააკმაყოფილა საბჭოთა მთავრობის თხოვნა, რომელიც შეიცავდა შვეიცარიის ტერიტორიით რუსეთის დელეგატების გამგზავრებას გენუაში.

**შრომის ბიურო და გენუა.**

**ბორდო.** 27 მარტი. ლონდონში მოვიდა საერთაშორისო შრომის ბიუროს დირექტორი ალბერტ ტომა, რომელმაც უნდა აწარმოოს მოლაპარაკება ლოიდ ჯორჯთან ბიუროს მონაწილეობის მიღების შესახებ გენუას კონფერენციაზე იმ კომისიების მუშაობაში, რომლებიც გამოიმუშავებენ შრომის და მრეწველობის საკითხებს. „ტაიმ"-ს ცნობების თანახმად, ტომამ მიიღო წინადადება შრომის საერთაშორისო ბიუროს შემადგენლობიდან კომისიის გამოყოფის შესახებ უმუშევრობასთან უშუალო საბრძოლველ ზომების საკითხის განსახილველად.

**ექსპერტების თათბირი.**

**პარიზი.** 27 მარტი. კვირას ფინანსიური ექსპერტები არკვევდნენ მთელ რიგ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ვალიუტის კურსის განმტკიცებასთან. განხილულ იქმნა საკითხი ზომების შესახებ, რომელიც აუცილებელია ოქროს დირებულების ქანაობისაგან დასაცავად.

ექსპერტები შეეხნენ აგრეთვე რუსეთის ვალის რეგლამენტაციის საკითხს. საკითხის დიდმნიშვნელობისა გამო, გადაწყვეტილ იქმნა განსაკუთრებულ კომისიის შედგენა რუსეთის ვალების საქმეებისათვის.

**ხანგძლივი კონფერენცია.**

**პარიზი.** 27 მარტი. ხალხთა ლიგის საბჭომ გადასწყვიტა გადასცეს გენუას კონფერენციას ყველა მასალა და დადგენილებანი საერთაშორისო სანიტარული კონფერენციისა, რომელიც შესდგა ვარშავაში.

**საფრანგეთის ახალი მანევრი.**

**მოსკოვი.** 28 მარტი. გენუას კონფერენციის დაკავშირებით, პარიზში გამოქვეყნებულია ოფიციალური ცნობა, რომელშიაც ნათქვამია, რომ საფრანგეთის მთავრობა, აცხადებს რა თანხმობას მიიღოს დადგენილებანი, რომელიც შეიძლება მიღებულ იქმნას გენუას კონფერენციაზე, სავალდებულოდ, ამავე დროს სთვლის ამ დადგენილებებს მხოლოდ დროულად, მათი პარლამენტში რატიფიკაციამდე.

**გერმანიის დელეგაცია.**

**ნაუენი** 27 მარტი. გერმანიის დელეგაცია, თუ კი არ მოხდება რამე გაუთვალისწინებელი, გაემგზავრება გენუაში კონფერენციაზე დასასწრებლად აპრილის 4 ს.

**ნეიტრალური სახელმწიფონი.**

**ბორდო.** 27 მარტი. აპრილის 4 ს ბერნში შესდგება სკანდინავიის სახელმწიფოების ჰოლანდიის, ისპანიის და შვეიცარიის ექსპერტების კრება. ნეიტრალურ მპყრობელთა ოფიციალური დელეგატები, ალბად, შეიკრიბებიან აგრეთვე ბერნში აპრილის 6-ს ეკონომიურ საკითხებში საერთო პროგრამის გამოსამუშავებლად.

# უცხოეთი

**ოსმალეთში,**

**ბორდო.** 25 მარტი. ოსმალეთის ეროვნულმა ყრილობამ დაადგინა მონაწილეობა მიიღოს აღმოსავლეთ ხალხის კონფერენციაში, რომელიც მოწვეული იქნება მაისში.

**პოლიტიკური განწყობილება ანგორაში.**

იმედები ომის ლიკვიდაციისა ბერძნებთან და ზავის დამყარებაზე ამ ჟამად უფრო სუსტია, ვინემ იყო იგი რამდენიმე თვის წინად. აი მაგალითად რასა სწერს „ისტიკბალი" (14 თებერვალს) მომავალ საგაზაფხულო კომპანიაზე: უსუფ-ქემალის ევროპაში წასვლის მიზანია მხოლოდ ერთხელ კიდევ ხელმეტად ახსნას ჩვენი უფლება, მოთხოვნილებანი და ის, რომ ჩვენ მზად ვართ იარაღით ხელში დავიცვათ ჩვენი უფლება. ბერძნები სოლეს ... კომბენ, ... ამისათვის. ჩვენც მზად უნდა ვიყოთ ვიბრძოლოთ ჩვენი ეროვნული იდეალებისათვის და, პირველ ყოვლისა, მცირე აზიის განთავისუფლებისათვის. გაზეთი „ იენი-გიუნი" კიდევ უფრო მკაცრად გამოსთქვამს თავის უნდობლობას უსუფ-ქემალის გამგზავრების შედეგზე. თავის მოწინავეში გაზეთი სწერს: „ჩვენ ღვიარებთ ორ ჭეშმარიტებას: 1) ზავის მიღწევა შეიძლება იარაღის ძალით. 2) სიტყვა ზავი ჩვენ გვესმის არა საყოველთაო მნიშვნელობით არამედ, როგორც ჩვენი კერძო ზავი.

გამოვლენებთ რა ასეთი ჩვენი რწმენიდან, ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიუხედავად ყოველნაირ კონფერენციების მოწვევისა დიდი სახელმწიფოების მიერ, მახლობელ გაზაფხულში ე. ი. ორი სამი თვის განმავლობაში ოსმალ-ბერძენთა ომი კვლავ განახლდება.

აღნიშნული განწყობილება განსაკუთრებით გაძლიერდა უკანასკნელ დროს, როცა გამოირკვა, რომ ინგლისი ცდილობს შექმნას სტამბოლის მთავრობის სახით თავისი დასაყრდენი ძალა. ამ მხრივ ერთობ მნიშვნელოვანია გაზეთ „ისტიკბალის" 14 მარტის შემდეგი განცხადება: ო. დ. მ. ს. საგარეო საქმეთა მოადგილემ ჯამილ ბეიმ უსუფ-ქემალის შეკითხვაზე იმ შთაბეჭდილების შესახებ, რომელიც გამოიტანა მან სტამბოლში ყოფნის დროს განაცხადა:

სტამბოლის მთავრობის ჩვენდამი განწყობილება მტრულია. როცა მხედველობაში მივიღებთ იზით-ფაშის ორმაგ პოლიტიკას, ჩვენ არ შეგვიძლია ვერწმუნოთ მის კეთილ მოსურნეობის განცხადებას.

**ოსმალ ბერძენთა ომი.**

**ნაუენი.** 27 მარტი. საბერძნეთის პასუხი მცირე აზიაში დროებითი ზავის ჩამოგდების წინადადებაზე მოკავშირეთა ელჩებს გადაეცათ 27 მარტს. საბერძნეთის მთავრობა წინადადებას ღებულობს, მაგრამ უკეთებს ზოგიერთს რეზერვს დროებითი ზავის ჩამოგდების პირობებს.

**ფრონტზე.**

**ანგორა.** 24 მარტი. აფიონ ყარაჰისარის მიმართულებით ძლიერი ცეცხ-

# ქალაქ ტფილისის ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ

**ამხ. თედო ღლონტის საინფორმაციო მოხსენება, გაკეთებული საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოში და ტფ. აღმასრულებელ კომიტეტში.**

დეფიციტს იძლევა სხვა წარმოებაც. სასაკლაოდან მიღებულია 1 მარტამდე (1 იანვრიდან) 657,7 მილიონი, ხოლო ამავე ხნის განმავლობაში გაცემულია 763,4 მილ. ელექტრონის სადგურიც, რომელთა რიცხვიც უდრის 15. ასევე უმწეო მდგომარეობაშია. 1 მარტამდე ელექტრონის უწყებას მიუღია 83,7 მილ. გაცემულა კი 402.1 მილ. მან. ამაში უდიდესი ხარჯი ჯერ არ არის შეტანილი. ხოლო თუ რამდენად დავალიანებულია ელექტრონის უწყება სათბობი მასალის და სხ. მხრივ, სჩანს იქიდან, რომ 1 აპრილამდე მას მართებს (კრედიტორები) 4,7 მილიარდი მანეთი, ამაში მარტო სათბობი მასალისაა 2,7 მილიარდი მან. ამ მძიმე მდგომარეობიდან ქალაქს თავის დაღწევა იმიტომ არ შეუძლია, რომ სახელმწიფო, სამხედრო და საზოგადო დაწესებულებებს მართებს ელექტრონის უწყების (დებიტორები) 4,6 მილიარდი მანეთი. ესე იგი ყველა უწყებამ ყოველი ვალი სავსებით რომ გადიხადოს, იმ შემთხვევაშიაც შეუძლებელია დეფიციტის დაფარვა.

ანგარიშს უწევთ რა ყოველ ამას, ჩვენ ელემენტის ნორმალურ პირობებში სრულიად ადვილად შევსძლებთ ყოველ წარმოების მოგვარებას და მყარ საფუძვლებზე დადგომას. ჩვენ ჯერ ბიუჯეტის კიდევ მოსამზადებელ ხანაში ვიმყოფებით. შემოსავლის წყაროები, რომელიც უკვე არსებობენ ქაოტიურ მდგომარეობაში გვაქვს, მას ვალაგებთ და ვაწესრიგებთ, ვმუშაობთ ახალ წყაროების დასახვასა და მის დალაგებაგატარებისთვის ამ დიდი რეფორმის ერთბაშად გატარება, რომ მისი ეფექტი ერთბაშად ეხლავე მივიღოთ—ფინანსიური უტოპიაა. ყოველივე ეს ისე უნდა გაკეთდეს, რომ შემოსავლის წყაროები არ დავაშროთ, არ დავასნეულოთ.

ჩვენ თუ მიზნათ გვაქვს დასახული არავითარ შემთხვევაში არ ჩავკლათ ეკონომიური კატეგორიები ამასვე მოვითხოვთ ჩვენი გადასახადთა ობიექტებისა და სუბიექტების მხრივ. სამწუხაროდ ამ მხრივ ყველაზე ცუდ მდგომარეობა გაყენებენ ისეთი ძალები, რომელთაგან ჩვენ დიდ დახმარებას მოველოდით. ასეთებია საზოგადო და სახელმწიფო უწყებანი. მაგალითად მთელი წყლის თითქმის 35 პროც. სახელმწიფო ძალებს მიაქვთ, რომელნიც სრულიად არაფერს იხდიან ქალაქისათვის. ქალაქს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლიან სახელმწიფო ორგანოების წყლითა და ელექტრონით კვება, ვინაიდან მარტო სათბობი მასალა მარტო წყლისა წელიწადში უდრის 55,2 მილიარდ მანეთს, ხოლო მარტო სათბობი მასალის ხოლო ერთი დარგიდან (წყალსადენიდან) სახელმწიფოზე მოდის 18 მილიარდზე მეტი. მარტო სამხედრო უწყებას აქვს 1 მარტისათვის შემოსატანი წყლისათვის 2,941 ათასი მილიონი, საბაზისო უწყებებს კი 248 მილიონი, ასე რომ პირველ მარტისათვის ვალი ირიცხებოდა 3,18 მილიარდი მანეთი.

პირველ აპრილისთვის ეს ვალი დაახლოვებით 5 მილიარდ მანეთს უდრის.

სახელმწიფო, ჯარმა, უწყებებმა, რომ წყლის, ენერგიის, სახლის და სხვა სამსახურის ფასი არ გაიღოს, რომელიც მძიმე ტვირთად აწევება ქალაქს—შეუძლებელია. ეხლა ჩვენ სწორედ ამ შეუძლებლობასთან გვაქვს საქმე. სახელმწიფო და მისი უწყებანი არ გვაძლევენ არა თუ წყლისა და სხვათა ფასს, არ გვაძლევენ გადასახადებს, რომელიც პირდაპირ ქალაქის კუთვნილებაა. ქალაქს ერგება 20 პროც. იმ გადასახადებიდან, რომელსაც სახელმწიფო ჰკრებს ჩვენი სახელით. ხაზინაში ასეთი შემოსავალი ქალაქისათვის სხვა და სხვა გადასახადებიდან აღემატება 2,5 მილიარდს, თუმცა ეს თანხა დღესაც მიუღებელია. წყლის და ელექტრონის ვალი სახელმწიფო დაწესებულებებზე დაახლოვებით არ ცხება 9-5 მილიარდი. გარდა ამისა დიდძალია ვალი ბინების სახლების, დარაზების და სხ., რომელიც ისევ მილიარდებით ირიცხება.

ასეთ პირობების მიუხედავად ქალაქს აქვს დასახული მთელი რიგი მიზანი, რომელსაც უდრესად კულტურული ხასიათი აქვს და რომლის მოგვარება უდიდეს დახმარებას გაუწევს სახელმწიფოს. გზატკეცილების შეკეთება, ქუჩების შენახვა, ბაღების მოვლა, გაკეთება ხიდების ს აქმისა, მორწყვა, კანალიზაცია, ასენიზაცია, ქალაქის განათება, ჰაობის დაშრობა, სახალხო განათლება, სახალხო ჯანმრთელობა, სტატისტიკასავადმყოფო კასა, სუბსიდიები, მილიცია და სხვა და სხვა, წელიწადში მოითხოვს 91.7 მილიარდს.

ამ დიდს საქალაქო და საქვეყნო საქმის შესრულება ქალაქს არ შეუძლია თუ ახალი ეკონომიური პოლიტიკა ზედმიწევნით სისრულით არ იქმნა გატარებული. საფინანსო განყოფილებაში მტკიცე სისტემატიური მუშაობა ხწამოებს გადასახადთა სისტემის ჩამოსაყალიბებლად, ახალი, საგადასახადო უფლებების ობიექტების დასახვისათვის, ასალებს მაქსიმუმამდე აკრეფისათვის, გენერალური ეკონომიურის გასაწევად წარმოებებში შტატების შემცირების და სათბობ მასალების მხრივ.

მთელი საფინანსო აპარატის მოსაგვარებლად პირველი მოთხოვნილებაა ყველა უწყების გადაყვანა მეურნეობრივ პრინციპზე, ესე იგი კერძო პირებთან ერთად ყოველ სახელმწიფო ორგანოების დამორჩილება გადასახადის სფეროში, ქალაქის ვალების გასწორება სახელმწიფო უწყებათა მხრივ, რკინის გზის ტარიფის დაუყოვნებლივ ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება ხოლო ერთდროულად ათი მილიარდი კრედიტის გახსნა სახალხო ბანკში ექვსი თვის განმავლობაში.

ეს სესხი მძიმე ტვირთად არ დააწვება ქალაქს. ტფილისის ფინანსიური პერსპექტივა მეტად საიმედოა. დღევანდელი ცუდი ფინანსიური მდგომარეობა არც საკვირველია, არც საშიშია. სამითხი თვის განმავლობაში, რაც გაკეთებულა ძალიან საგრძნობი და სასარგებლოა. შეცდომებიც თანდათან გამოსწორდება და საფინანსო სისტემა შეიქმნება. ფინანსიური პოლიტიკა ერთი ხელის დაკვრის პოლიტიკა არ არის. ჯერ ჩვენი საფინანსო წყაროები სრულებით ხელუხლებელია. ნავაჭრადვე გადასახადებიდან მოსალოდნელია 135,9 მილიარდის მიღება, ამაში 1 მარტისათვის აღებულია მხოლოდ 1,5 მილიარდი, ესე იგი 2,3 პროც. ეს ფაქტი იმას იოტის ოდნავ არ ამტკიცებს, რომ ჩვენ საზოგადოდ არ შეგვიძლია აკრების საქმის მოგვარება. არა, ჩვენს წინ გადაშლილა ყოველი დეტალი ჩვენი ფინანსიური მექანიკისა. ვიცით სად და რაშია ჩვენი სისუსტე, ვიცით როგორ უნდა ვიბრძოლოთ ჩვენს ნაკლს, რასაც ჩვენ სავსებით გამოვასწორებთ. ამას გარდა 1922 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში სრულებით არ არის შეტანილი გადასახადთა ახალი წყაროები. ჩვენ ვგულისხმობთ ძველ შეფასებით გადასახადს, რომელიც შესაძლოა გადაიშალოს ჩვენს წინაშე ბინის გადასახადის და ქირის სახით. ომამდე შეფასებით გადასახადი უდრიდა შეფასების 1 პროც. ან შემოსავლის 10 პროც. მთელი ტფილისის ქონება ომამდე შეფასებული იყო 170 მილ. მანეთი ოქროთი, ესე იგი მარტო ერთი პროც. გადასახადი იძლეოდა დაახლოებით 1,7 მილ. ოქროთი, რაიცა უდრის დაახლოვებით 180 მილიარდს. ამას გარდა ჩვენ აუცილებლად უნდა შემოვიღოთ საფუთო გადასახადი, რომლიდანაც 1919 წელს ქალაქი ღებულობდა თითქმის 250 ათას მან. რასაკვირველია შეუძლებელია ჩვენ სავსებით იმ პროპორციით ავკრიფოთ ყოველივე გადასახადი, როგორც ეს იყო მისახერხებელი ომამდე. მაგალითად, ომამდე დარაზები აძლევდა მეპატრონეთ 3,2 მილ. მან., ესე იგი დაახლოვებით 350 მილიარდს. მაგრამ ჩვენ შეგვიძლიან ავიღოთ მესამედი, მეოთხედი, მეხუთედი, მეექვსედი, რაიცა ჩვენს ფინანსებს საგრძნობლად გამოასწორებს.

დაახლოვებით ერთი თვის განმავლობაში საფინანსო კომისია ზედ მიწევნით სისწორით წარმოადგენს სმეტას 1922 წლისათვის ახალ ტარიფის და მტკიცე კურსის მიხედვით, სადაც უფრო დაწვრილებით და მეცნიერულ სისწორით იქნება გადაშლილი ქალაქის ფინანსიური პერსპექტივა, აღვნუსხავთ მხოლოდ, ფინანსიური კონიუნქტურა შეიძლება მტკიცდება. წარმოებათ ჩვენ გაუმართლდა იმედები იანვარში 10,2 პროც. თებერვალში კი 18,0 წარმოებათაგან მივიღეთ იანვარში 2,6 მილიარდი, თებერვალში კი 5,7 მილიარდი შემოსავლის ზრდის ტენდენცია სისტემატიურად განმტკიცდება.

ქალაქი არ არის დავალიანებული. ჩვენი ვალი არ აღემატება რუსულ ფულით ათ მილიარდს მაშინ, როცა ძველი დარიბი ტფილისი 1917 წელს დატვირთული იყო 4,1 მილ. მან. ჩვენ საქიროთ არ ძიგვაჩნია კიდევ უფრო დაწვრილებით გადავშალოთ უპირატესობანი და ნაკლი ჩვენი ბიუჯეტისა. დღევანდელი ტფილისი იძლევა მდიდარ მასალას ჯანსაღი ფინანსიური მდგომარეობის შესაქმნელად, მხოლოდ ჩვენი თხოვნაა: ელემენტარი ნორმალური პირობები უნდა დაიცვას ყველამ თავიანთ მოვალეობათა აღსასრულებლად.

დასასრულ მცირე დახასიათება ქალაქის ბიუჯეტისა. როცა ჩვენ ვაკვირდებით ქალაქის ბიუჯეტს და გვინდა ერთი სიტყვით დავახასიათოთ იგი ჩვენ არ შეგვცდებით თუ ასეთ სიტყვით მივიჩნევთ—ხაწარმოება ბიუჯეტს. ბიუჯეტის მთელი სიმძიმე წარმოებაშია, ამ მხრივ საბჭოთა ქალაქის ბიუჯეტი არ შეედრება ქალაქის არც ერთს ძველს ბიუჯეტს. ამის საილუსტრაციოთ მოვიყვანთ მცირე შედარებას 22 წლის ბიუჯეტის 14 წლის ბიუჯეტთან. მოვახსენებთ, რომ ცნობა მათემათიკური სისწორით არ არის შედგენილი და მხოლოდ დაახლოვებითია. შემოსავალი ქონების ქალაქს უმთავრეს დარგებში:

| | 1914 | 1922 |
|---|---|---|
| უძრავ ქონ. და სხ. | 43,2 % | 24,4 % |
| წარმოებანი — — | 31,6 „ | 54,9 „ |
| გ ქირობა მრეწველ დან | 4 8 „ | 2,8 „ |

| გასავალი: | 1914 | 1922 |
|---|---|---|
| ქალაქის მართველობის შენახვა — — | 9,2 % | 2,0 % |
| შინა მართველობა და მილიცია — — | 20,6 „ | 1,9 „ |
| განათლება — — — | 12,5 „ | 11,5 „ |
| ჯანმრთელობა — — — | 11,4 „ | 6,4 „ |
| წარმოება — — — — | 13,7 „ | 77,6 „ |

ლია. ჩივრალის მიმართულებით 21—22 მარტს ღამით ჩვენმა მზვერავმა რაზმა თავს დაესხა მოწინააღმდეგეს მოწინავე პოსტებს, რომელთა ერთი ნაწილი დატყვევებულია და მეორე გაწყვეტილი. კიმლიის მიმართულებით მტერმა გადასწვა სოფ. ასონტი.

# ახალი ამბები

— დღეს ხელოვნების სასახლეში სერგიევის ქუჩა № 13 გაიმართება სრ. საქ. მწერ. კავშირის საბჭოს მორიგი ლიტერატურული ხუთშაბათი მოხსენებას წაიკითხავს შალვა ნუცუბიძე „მშვენიერების იდეა პლატონის ფილოსოფიაში“. დასაწყისი საღამოს 7 საათზე. ბილეთების ფასი 10,000 მანეთი.

— მეთევზეობა. სახ. სამიწათმოქმედო კომისარიატის სასოფლო სამეურნეო განყოფილებასთან შესდგა მეთევზეობის და რესპუბლიკის სათევზო სიმდიდრის გამოკვლევის კომისია. კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ ამხ. ვორონიხინი ფ ზაიცევი, ე. ლ. მარკოვი და ს. მაჩაბელი.

— სახ. ჯანმრთელობის კომისარიატში. სახ. ჯანმრთელობის კომისარიატის შტატების შემცირება დასრულდა. 144 მოსამსახურედან დატოვებული იქმნა 125.

— გრ. რობაქიძის პიესა „ლონდა“. პარასკევს 81-ს მარტს სამხატვრო რ. თეატრის რუსული დრამა სდგამს პირველად გრიგოლ რობაქიძის პიესას „ლონდას“. პიესა „ლონდა“ დაწერილია 1919 წელს ივლისში ქართულ ენაზე. იმავე წელს ავტორმა თავისი პიესა წაიკითხა სამჯერ სხვა და სხვა სალიტერატურო წრეებში. პიესამ მწერალთა და არტისტთა შორის დიდი ინტერესი გამოიწვია. ორი წლის წინათვე ეს პიესა წაკითხულ იქმნა აგრეთვე ქართულ დრამატიულ სარეპერტუარო კომისიაში. კომისიამ პიესა მოიწონა და მიიღო სცენაზე დასადგმელად. წელს გრიგოლ რობაქიძემ კიდევ წაიკითხა პიესა არტისტების და რეჟისორების წინაშე. ქართულ სცენაზე „ლონდას“ დადგმა საბოლოოდ გადასწყვიტეს. პიესის მზადებას შეუდგნენ კიდეც ალ. წუწუნავას რეჟისორობით მაგრამ პიესის დადგმა ტეხნიკური მიზეზების გამო დღემდის ვერ მოხერხდა. რუსულმა დრამამ ითავა ამ პიესის დადგმა. პიესას სდგამს რეჟისორი მარჯანიშვილი. ამ პიესისთვის სპეციალურად მუსიკა დასწერა მუსიკოს პანიევმა. დაიხატა ახალი დეკორაცია. რუსულ ენაზე „ლონდა“ სთარგმნა პოეტმა ვალერიან გაფრინდაშვილმა. პიესა „ლონდას“ დადგმა ხელოვანთა შორის დიდ ინტერეს იწვევს.

— საფონდო ბირჟა. 25 მარტს საფონდო ბირჟაზე უცხო ვალიუტის კურსი გამოიხატება შემდეგში: (ათ მან.)

| | |
|---|---|
| ოსმალ. ლირა ოქრო | 835 |
| ლირა ოსმალ. ბანკნოტ. | 180 |
| ამერიკ. დოლლარი | 250 |
| სტერ. ინგლი. ბანკნოტ. | 950 |
| ამერიკ. დოლ. ბანკნოტ. | 250 |

მოთხოვნილება დიდია უფრო ოსმალურ ლირისა და დოლარის. წინადადება სუსტია.

# მთავრობის დადგენილება და განკარგულება

## დადგენილება № 2

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის გაუქმების შესახებ.

1. გაუქმებულ იქნეს სოციალურ უზრუნველყოფის სახ. კომისარიატი, როგორც დამოუკიდებელი კომისარიატი და ყველა მისი განყოფილებები შეუერთდეს შრომის სახ. კომისარიატს და ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს კუთვნილებისამებრ.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ცენტრალურ აღმასკომის თავმჯდომარე: ფ. მახარაძე.
მდივანი: თ კალანდაძე.

1922 წ. მარტი 27-ს.
ტფილისი—სასახლე.

# მუნიციპალური სახლები

ამ სიის გარეშე დარჩენილი სახლები საკუთრებად დაუბრუნდა სახლის მეპატრონეებს, რომლითაც ხამისო მოწმობა უნდა აიღონ ქ. ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტისაგან.

ქალაქის აღმასკომის სახლები.

| | | |
|---|---|---|
| 1. | დავიდოვის, | 5 |
| 2. | რუსთველის | 10 |
| 3. | ქუკოვსკის | 4 |
| 4. | „ „ | 9 |
| 5. | განოვის | 12 |
| 6. | ეგზარხოვის | 8 |
| 7. | გუდოვიჩის | 21 |
| 8. | გიორგიევის | 4 |
| 9. | ველიკოკნიაჟესკი | 46 |
| 10 | „ „ | 103 |
| 11 | ოლღას | 5 |
| 12 | პეტრეპავლესა | 16 |
| 18 | ჩერქეზიშვილის | 120 |
| 14 | სურფ-სარქისის | 45 |
| 15 | ბაბილუვ | 18 |
| 16 | ბელინსკის | 7 |
| 17 | ერის მოედანი | |
| 18 | განოვის | 2 |
| 19 | ველიამინოვის | 7 |
| 20 | ლერმონტოვის | 27 |
| 21 | პასკევიჩის | 10 |
| 22 | ბებუთოვის | 30 |
| 23 | აბანოსი | 6 |
| 24 | კორღანოვის შესახ. | 11 |
| 25 | მარტყოფის | 7 |
| 26 | თელავის | 44 |
| 27 | ჟუკოვსკის 11, და გუდოვიჩ. | 19 |
| 28 | რეუტოვის | 16 |
| 29 | მესანგეთა ქ. | 3 |
| 30 | „ „ | 18 |
| 81 | ველიკოკნიაჟესკი | 48 |
| 32 | ნიკოლოზის | 105 |
| 33 | პანასევიჩის | 29 |
| 34 | ანდრეევის | 49 |
| 35 | ნიკოლოზის | 60 |
| 36 | მადათოვის კუნძული | |
| 87 | ჩერქეზიშვილის და კირ. კუთხე. | |
| 38 | ჩერნომორსკი ქუჩა. | |
| 89 | ანდრეევის | 82 |
| 40 | ნიკოლოზის | 54 |
| 41 | ოლღას | 1 |
| 42 | პუშკინის | 4 |
| 43 | ჯარის კაცთა ბაზარი მუხრ. რინ. | |
| 44 | არმიანსკი ტუპიკი | 5 |
| 45 | ოლღას ქუჩა | 7 |
| 46 | პრეობრაჟენსკის — | 40 |
| 47 | სასახლის— | 5 |
| 48 | გრუზენშტეინის | 4 |
| 49 | გრიბოედოვის | 8 |
| 50 | სასამართლოს ქუჩა | 32 |
| 51 | ოლღას | 48 |
| 52 | „ „ | 50 |
| 58 | მაულიჩის | 48 |
| 54 | პლეხანოვის | 40 |
| 55 | ველიკოკნიაჟესკი | 52 |
| 56 | ჩრქეზიშვილის | 115 |
| 57 | ველიკოკნიაჟესკი | 76 |
| 58 | ერმოლოვის | 2 |
| 59 | ბებუთოვის | 28 |
| 60 | მუშტაიდის | 4 |
| 61 | ბროსეს | 2 |
| 62 | „ „ | 10 |
| 62 | ბარიათინის | 10 |
| 64 | პლეხენოვის | 148 |
| 65 | სასახლის | 7 |
| 66 | 19 თებ. ქუჩა | 22 |
| 67 | სასამართლოს | 48 |
| 68 | ანდრეევის | 42 |
| 69 | ბარიათინის | 5 |
| 70 | პლეხ ნოვის | 56 |
| 71 | სერგიევის | 39 |
| 72 | ფრეილინის | 10 |
| 73 | პეტრე დიდის | 22 |
| 74 | ერმოლოვის | 1 |
| 75 | „ „ | 8 |
| 76 | „ „ | 5 |
| 77 | ხაზინის | 3 |

სახლები, რომლებიც რჩება მუნიციპალურ ქონებათ.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 78 | პლეხანოვის | 128, | 79 | პლეხ. | 106 |
| 80 | „ | „ 111, | 81 | პლ. | 114 |
| 82 | „ | „ 17, | 83 | „—„ | 161 |
| 84 | „ | „ 178, | 85 | „—„ | 66 |
| 86 | „ | „ 174, | 87 | „—„ | 10 |
| 88 | „ | „ 178, | 89 | „—„ | 81 |
| 90 | „ | „ 93, | 91 | „—„ | 87 |
| 92 | „ | „ 83, | 93 | „—„ | 129 |
| 94 | „ | „ 125, | 95 | „—„ | 113 |
| 96 | „ | „ 137, | 97 | „—„ | 44 |
| 98 | „ | „ 166, | 99 | „—„ | 154 |
| 100 | „ | „ 136, | 101 | „—„ | 164 |
| 192 | „ | „ 106, | 103 | „—„ | 170 |
| 104 | „ | „ 50, | 105 | „—„ | 8 |
| 106 | „ | „ 156, | 107 | „—„ | 40 |
| 108 | „ | „ 188, | 109 | „—„ | 123 |
| 110 | „ | „ 78, | 111 | „—„ | 76 |
| 112 | „ | „ 40, | 113 | „—„ | 181 |
| 114 | ელისაბედის | 1, | 115 | ელის. | 39 |
| 116 | „ | „ 60, | 117 | „—„ | 97 |
| 118 | „ | „ 118, | 119 | „—„ | 117 |
| 120 | „ | „ 212, | 121 | „—„ | 121 |
| 122 | „ | „ 200, | 123 | „—„ | 131 |
| 124 | „ | „ 192, | 125 | „—„ | 178 |
| 126 | ჩერქეზიშ. | 141, | 127 | ჩერქ. | 130 |
| 128 | „ | „ 100, | 129 | „—„ | 77 |
| 130 | ტატიანას | 5, | 131 | ტატ. ან. | 8 |
| 132 | „ | „ 10, | 133 | ტატიან. | 6 |
| 134 | „ | „ 3, | 136 | | |
| 137 | ბაქოს | 20, | 138 | ბაქ. | 9 |
| 139 | ქსენიევის | 6, | 140 | ქსენ. | 9 |
| 141 | „ | „ 10, | 142 | „—„ | 7 |
| 143 | „ | „ 5, | 144 | კირ. | 19 |
| 145 | კიროჩნი | 33, | 146 | „—„ | 7 |

(დასასრული იქნება)

# მოწოდება

თუ კი გიყვართ საქართველო ცის ვარდებით მოქარგული;
ვარსკვლავთ კრება, ლურჯი მთები მზის სხივებით ანთებული;
სათნოება ცის ცვარ-ნამის, ვარდი მკერდზე ანათრთოლის;
ლტოლვა ახალ ქვეყნისაკენ და მქუხარე ხმები ბრძოლის,—
—დაეხმარეთ თქვენს ძმებს და დებს,—ვინც სიმშილით იღუპება!
სიმშილია სულთათანა და სიკვდილის მოციქული;
სიმშილია სასაფლაო და სიცოცხლე დაბინდული.
ვინ იცის ეს ცივი ქარი დღეს რაოდენს გადათელავს
და ჩვენს ტურფა, ნორჩ ყვავილებს ის კვილით რამდენს ცელავს.

ძველ ქვეყანას საქართველომ უგალობა სულთათანა!
თვალ წინ, ვით ცის დედოფალი, გამოუჩნდა სხვა ქვეყანა.
საქართველომ ბრძოლის ქნარი სულ სხვა ჰანგზე ააჟღერა
და არ ნაღვლობს, თუ ამითი დიდ-კაცები გადიმტერა.
დიდხანს სწვავდა ტანჯვის ცეცხლი, დიდხანს სწვავდა მწარე ალი,
სისხლის ზღვაში დაბადებულს შეუყვარდა ბრძოლა, ხმალი.
მიისწრაფვის იმ ქვეყნისკენ, სად არას დროს არ ბნელდება;
სად ნიავი მწვანე ფოთლებს ახალ ზღაპრებს ეუბნება.
და მიილტვის მომავლისკენ და მიფრინავს გიჟი რაშით;
წინ ხვდებიან ყვავილები სიცილით და ცეკვა ტაშით.
მას სიმშილის შავი ჩრდილი გადაეჭდო ყელზე ბროლის,
ჰკლავს სიხარულს მონაპოვრის, ჰკლავს სიხარულს დაჭრილ გულის..
საქართველო განახლდება, გადაიტანს ამ ბნელს ღამეს,
ის იხილავს ვისაც ეტრფის; ბედის ვარსკვლავს მოკამკამეს!. . .

ვისაც გიყვართ ეს ქვეყანა ცის ვარდებით მოქარგული,
თუ გრწამთ ცეცხლი, ბრძოლის ცეცხლი უკვდავ სულში ანთებული,—
მოუსმინეთ ჩემს წრფელს ძახილს,—საქმეს იზამთ სასახელოს,
დაეხმარეთ ჩვენს საყვარელ დღეს დამშეულ საქართველოს!

დ. იგანიშვილი.

# დიმიტრი ყიფიანი

(გაგრძელება *)

იმ დროის იმერეთის გუბერნატორათ დანიშნული იყო ისეთი პირი, რომელმაც რუსული ენა არ იცოდა, იგი შთამომავლობით ისპანიელი იყო და მასთან განათლებული კაცი, ამ განათლების გამო მიეცა მთავრობას მისთვის ის თანამდებობა, ამ პირთან დიმ. ყიფიანმა ჩინებულად დაიჭირა საქმე ლაპარაკში ფრანგულ ენას ხმარობდა, ამ გარემოების წყალობით დიმ. ყიფიანი ფრანგულს ენაში უფრო დაწინაურდა.

ცოტა არ იყოს, დიმ. ყიფიანს თურმე იმ დროს, ერთობ მცირე ჯამაგირი ჰქონდა, სამუშაო სასმელს გარდა, რაც მას გუბერნატორთან ჰქონდა, თვეში 400 მ. ჰქონდა ჯამაგირათ და ეს მისთვის ერთობ მცირე იყო, ამიტომაც დიმ. ყიფიანმა რამდენიმე ხნის შემდეგ დაიწყო მეცადინეობა, რომ იგი ტფილისში, უკვე ჯამაგირიან ადგილზედ გადმოსულიყო. გადმოსვლის საქმე მალე მოეწყო და უნდა გადმოსულიყო კიდეც. მაგრამ ეს ამბავი გუბერნატორმა რომ შეიტყო, მან დიდი ყურადღება მიაქცია დიმ. ყიფიანს მამაშვილურათ თხოვნა დაუწყო, ჯამაგირი მოუმატა, ამიტომ დიმ. ყიფიანი დროებით მაინც დარჩა ქუთაისში, რამდენიმე ხნის შემდეგ კი მაინც მოაწყო საქმე და იმერეთიდამ ტფილისში გადმოვიდა, ტფილისში მას უბოძეს თანამდებობა, რომელსაც ეწოდება ასე:—„დოლჟნოსტი პრავიტელია კანცელარია“ და მასთან თანამდებობა „ტიფლისკი ვედომოსტის“ რედაქტორობა, ჯამაგირი დაუნიშნეს თვეში 750 მან.

ვიდრე დ. ყიფიანის ეს გადმოსახლება მოხდებოდა, სინამ გურიაში ხალხის აჯანყება მოხდა, იმ დროს დ. ყიფიანი გურიაში წავიდა და ოზურგეთში სცხოვრებდა, ხალხის აჯანყების საქმეები კარგად გაიცნო. ტფილისში გადმოსვლის შემდეგ კავკასიის მთავარ მართებელი დ. ყიფიანს შეეკითხა თუ გურიაში აჯანყება რამ გამოიწვიაო. დიმ. ყიფიანმა ასეთი პასუხი მისცა:

გურიიის ხალხის აჯანყება ჩვენი მოხელეების ბრალიაო, გურიის ხალხი რუსეთის მთავრობის დიდი ერთგულია, იგინი ოსმალეთის მხარეს რუსეთის საზღვრებს ფარისის ჯარით ინახავენ, სხვაფრივათაც ისინი ერთგულები არიან რუსეთის მთავრობის და მთავრობა კი მათ არაფერს სიკეთეს უშვრება, მთავრობა გურიაში სულ 600 მან. ხარჯავს და მის მაგიერ გურულებს კი მილიონობით ხარჯს სთხოვენო. მოსპეთ ეს უსამართლობა და მოიპოვა გურიის ხალხის აჯანყებაცაო. მთავრობამ ამ მოხსენებას ყურადღება მიაქცია და განკარგულება მოახდინა ამის შესახებ. გურულებს გადასახადი შეუმსუბუქეს.

ტფილისში მოქმედების პირველ დღიდანვე დიმ. ყიფიანმა შეადგინა ქართველ წარჩინებულთა სამწერლო წრე, ამის წევრებად გახდნენ ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი, პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი, პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, ტარასი მესხიევი და სხვანიც. ამათ დაიწყეს მეცადინეობა და შრომა ქართული მწერლობის შესახებ. მთავრობას მიმართეს და ქართული წიგნების გამოცემის ნებართვა სთხოვეს. მაგრამ მთავრობამ უარი უთხრა.

უარის თქმა დააფუძნეს იმ გარემოებაზედ, რომ 1837 წ. სოლ. დოდაშვილის ჩადენილი საქმის გამო ქართული წიგნების ბეჭდვა არ შეიძლებაო. ქართული სტამბის გახსნაც არ იქნებაო, პლ. იოსელიანმა მაინც იმეცადინა და 1841 წ. ტფილისში მხოლოდ ქართული კალენდარი გამოსცა. სხვანი კი სულ მიჩუმდნენ და არა იქმნა რა.

იმ დროს, კავკასიის მთავრობამ განიძრახა ტფილისში საყმაწვილო თავადშესაფარი სახლის გახსნა, ამისი გეგმა და წესდების საქმე დიმ. ყიფიანს მიანდეს, ამან შეადგინა ამის გეგმა და დროით გადასცა მთავრობას, რაც ერთ ხმად იქმნა მოწონებული და თავშესაფარიც დროით იქმნა გახსნილი.

არის კიდევ ასეთი ცნობები, რუსის მთავრობის ბოროტებით და ლიქნით, ქართლისა და კახეთის თავად-აზნაურთა და მათ ყმა გლეხებს შორის ვრცელდებოდა ერთმანერთის მტრობა, შუღლი და ბოროტება, რაც რუსეთის მთავრობის მოსაწონად თავად-აზნაურსა და გლეხებს შორის ინერგებოდა მათი ერთმანეთის მტრობა და ბოროტებანი, ახლაც ამ ბოროტებამ დიდს სამაგლობამდის მიაღწია და რუსის მთავრობის გასახარებლად ქართველებმა პირივით შეიძულეს ერთმანერთი.

ამ ბოროტებამ და ერთმანერთის შექულებამ მათში წარმოშობა დიდი მტრობა და საჩივრების ატეხა, ამით საქმე დიდათ გამწვავდა, მთავრობამ ისურვა ამის წამლის გამონახვა და ამაზედ დიმ. ყიფიანს შეკითხვა მისცეს, ამან მალე მისცა თავისი რჩევა და ამიტომ იმავე დროს, ტფილისში დაარსებულ იქმნა ერთი პატარა „რჩევა“ ანუ რამდენიმე კაცის კომისია, სადაც უმთავრესი ადგილი დიმ. ყიფიანს ეჭირა და კონსტ. მამაცაშვილს.

თავად-აზნაურთა და გლეხთა საქმეების საჩივრებს აქ იღებდნენ და აქვე არჩევდნენ, აქ საქმე ისე მოეწყო, რომ ყველა საჩივარი სულ მორიგებით, გლეხების ქომაგობით და გამართლებით თავდებოდა, ვინაიდან მათი დავადარაბა სულ უმეცრულად და სიხარბით იყო ატეხილი, რაშიაც უმეტესად გლეხები არა სტყუოდნენ და ამიტომ დიმ. ყიფიანის და კონსტ. მამაცაშვილის მოქმედებით ყველა დავა მშვიდობით თავდებოდა.

ამ დრომდის კი ყველა საჩივრის დროს, რუსეთის მოხელეების წყალობით სულ გლეხები [illegible] ამიტომაც გახლდათ, რომ მებატონეთა წინაშე [illegible] ბუნტოვჩიკები დღე და ღამე სულ ციმბირში იგზავნებოდენ გადასახლებით, ამიტომ ასეთ გლეხთა გადასახლებისაგან მთელი ქართველი იყო გაბმული საქართველოდამ რუსეთისაკენ მიმავალ ქართველ გლეხების.

დიმ. ყიფიანის და კონსტანტ. მამაცაშვილის წყალობით, ეს ბოროტება მოისპო და ამ კომისიის დაარსების დღიდამ ერთი გლეხკაცი და მისი ოჯახიც არ გადასახლებულა რუსეთის ციმბირში. თუ ეს გარემოება არა თქვენი მტერი მაშინ რა მოხდებოდა საქართველოში ქართველ გლეხთა ოჯახებისაგან სულ დაცარიელებული სოფლები და მით მხოლოდ ციმბირი აივსებოდა ქართველის გლეხებით.

ციმბირში ქართველი გლეხების არ გადასახლების გამო დიმ. ყიფიანმა მთავარმმართებელს ასეთი მოხსენება მისცა: ქართველ გლეხთა და მათ მებატონეთა შორის ბოროტი და მთავრობის წინააღმდეგი ბუნტური არასფერი გახლავთ, ყველა ეს გამოწვეულია მათი საოჯახო საქმეებისაგან და არა მთავრობის წინააღმდეგის ბუნტი საგნადა ამიტომ ასეთი გლეხების ციმბირში გადასახლება არის დიდი უბედურება და მთავრობასათვისაც დიდი ზარალი. ამიტომ ჩვენ ყველა მათ სადავო საქმეებს მათის მორიგებით ვათავებთ და მთავრობასაც თავიდამ ვაშორებთ გლეხების გადასახლების გამო დიდს ხარჯებსაო.

არ დასავიწყებელია ისიც, რომ ამ კომისიაში ერივნენ ისეთი კაცები, რომელიც დიდი სიყვარული ჰქონდათ მშობლიური მწერლობის, ამიტომაც ამათი საგონი იყო იმავე დროს, ქართველი მწერლობის სასარგებლოდ ზრუნვა. აი, ამ დროს, დიმ. ყიფიანმა ფრანგულის ენიდამ სთარგმნა ქართულ ენაზედ „რომეო ჯულიეტა“ რომელი თარგმნაც კარგა ხნის შემდეგ 1858 წ. დაიბეჭდა ჟურ. „ცისკარში“

როგორც გადმოგვცა თვით კონსტანტინე მამაცაშვილმა, ამას დაუწერია ქართველი ერის განვითარების ისტორია სპარსულში. მერე ეს წერილი მან რუსულად გადასთარგმნა და უწოდა ქართველი ერის და თავ.-აზნაურთა კულტურული საქმე წარსულში ეს თარგმანი რუსულის ენაზედ დაიბეჭდა 1848 წ. გაზ. „კავკაზში“, პლატ იოსელიანმა დასწერა სხვა და სხვა ისტორიული წერილები საქართველოს ისტორიის შესახებ ალ. ორბელიანმა დასწერა დრამა „ჭავით აღზრდილი“ ნ. ბარათაშვილმა სთარგმნა ლეზევეცის ტრაგედია“ „იული ტერენტელი“ და ასევე სხვებმაც სთარგმნეს და სწერს, სხვა და სხვა წერილები, ყველას ცნობები ჩვენ არა გვაქვს.

თუმცა ისიც ვიცით, რომ იგინი სწერდნენ ქართულად და სთარგმნიდნენ სხვა და სხვა ნაწერებს, ხოლო მათი დაბეჭდვის იმედი კი არ ჰქონდათ, რადგანაც ქართული წიგნების ბეჭდვა მოსპობილი იყო 1832 წლის შემდეგიდამ. ამის შესახებ საქმე ისე იყო დაყენებული, რომ ხმის ამოღება და რამის თხოვნა მთავრობის წინაშე არავის შეეძლო. იგი სასტიკად იყო აღკრძალული.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამ დროს, როცა დიმ. ყიფიანის მეთაურობით უკვე გამაგრდა ქართველი ერთი პატრიოტული წრე, იმავე დროს, იმავე წრის ქართველი მამულიშვილები დიდის დ რდით იყვნენ სავსენი მასზედაც, რომ საქართველოში შემოსული რუსეთის ახალი მთავრობა, ქართველ ბევრს თავად-აზნაურთა გვარებს მეტად ბოროტად ექცეოდნენ და ამათ წოდებას თითქმის სპობდენ და არ სცნავდნენ, სულ ამ ბოროტების მიზეზები იყო რომ მთელს საქართველოში ატეხილი იყო თავად-აზნაურების ძიება წოდების შესახებ და ზოგი თავადიშვილობას ეძებდა და ზოგიც აზნაურობას.

დიმ. ყიფიანის მეთაურობით ამ გარემოებასაც კაი მალამო მოუძებნა და დაარსებულ იქმნა მთავრობისაგან ერთი ქართველი წრე, რომლის ვალდებულება იყო სისწორით, ისტორიულად გარჩევა ყველა თავად-აზნაურების გვართა ისტორიის და მის პასუხის და განაჩენის მიცემა ყველა ჯგარის კითხვებზედ. ამ მხრითაც დიმ. ყიფიანს საფუძვლიანი შრომა მიუძღვის მთელი ქართველი თავად-აზნაურთა წინაშე.

ზ. ჭიჭინაძე.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ტრიბუნა“ № 178.

№ 1

# ახალგაზრდათა ხმა

№ 1

„ახალგაზრდათა ხმა“
გამოვა ხუთშაბათობით.
წერილები გამოიგზავნება შემდეგი მისამართით—ტფილისი
„ტრიბუნის“ რედაქცია, სასახლის ქ. № 6.
მასალები ერთ გვერდზე უნდა იყოს დაწერილი, აგრეთვე ზედ
უნდა იყოს წარწერა „ახალგაზრდათა ხმისათვის“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენი ხმა

თუ თვალს გადავავლებთ ახალგაზრდათა მოძრაობის ისტორიას და დაინტერესებულის ხელით გადავფურცლავთ მის მატიანეს, ჩვენთვის ერთი უდავო ჭეშმარიტება მუდამ ნათელი იქნება. ნათელი იქნება ის, რომ ახალგაზრდობა მუდამ იყო, არის და იქნება მატარებელი ახალი იდეათა, გამავრცელებელი ახალ მისწრაფებათა. „ახალგაზრდობა ჩვენი მომავალია, ახალგაზრდობა ჩვენი იმედია“ ამბობს ზინოვიევი. დიახ, ახალგაზრდობა ის ყვავილნარია, რომელზედაც ყოველი საზოგადო მოღვაწე ეყრდნობა. ახალგაზრდობა ის საძირკველია, რომელზედაც მომავალი საოცნებო შენობა უნდა აჰგოს. ამისათვის საჭიროა ახალგაზრდობა ორგანიზაციულად დაირაზმოს, ვინაიდან კარგად უნდა გვახსოვდეს, ოლიის გარღვევა იმ ფრონტის, სადაც არ არის ორგანიზაციულად დარაზმული რიგები.

ახალგაზრდათა ორგანიზაციულად დარაზმვა არაა ახალი, ძველია. ამის მაგალითს ბლომათ გვაძლევს მოძრაობა ახალგაზრდობისა. მაგრამ ახალგაზრდათა საერთაშორისო მოძრაობამ ამ ბოლო ხანებში გიგანტიური ხასიათი მიიღო. თუ გინდ გადახედეთ მსოფლიოში უკვე ცნობილ მცირე თუ დიდტანიან ერებს, და ყველგან დაინახავთ ახალგაზრდათა მოძრაობას. მაგრამ საკითხია რა არის ის ფოკუსი, რომელიც იკრებს, ორგანიზაციულად რაზმავს და ერთ გარკვეულ სახეს აძლევს ამ ჯერ კიდევ ნორჩ ახალგაზრდობას? ახალგაზრდობა ის მასალაა რომლისგანაც ოსტატს შეუძლია ესა თუ ის სახე გამოკვეთოს.

მაშ რომელი არის ეს ფოკუსი, ეს ოსტატი, რომელიც ასე მაგიურად მოქმედობს ახალგაზრდობაზე? ეს არის ამხანაგებო, პრესა, პრესა ახალგაზრდობის. და რომ ახალგაზრდათა პრესა მის გარშემო იკრებს მთელ ზღვას ახალგაზრდობისას, ამის მაგალითის ახალგაზრდობის დღევანდელი საერთაშორისო მოძრაობა იძლევა. საკმარისია დავასახელოთ რამდენიმე მაგალითი, რომ ჩვენთვის ნათელი გახდეს პრესის მნიშვნელობა ახალგაზრდობისათვის.

ქალაქ ბუდაპეშტში (უნგრეთში) 1902 წ. გამოდიოდა ახალგაზრდათა ორგანო „ახალგაზრდა მუშა“, რომელიც 1300—500 ახალგაზრდას აკავშირებდა

შვეციაში გამოდის ახალგაზრდათა ორგანო „ნაბაჯ“-ი, რომლის ტირაჟი 25.000 ცალს უდრის.

იტალიის ახალგაზრდობა სცემს ორგანო, „ავანგარდს“, რომლის ტირაჟი აღემატება 60.000 და რომლის გარშემო შემოკრებილია 70.000 ახალგაზრდა.

ფინეთის ახალგაზრდობა თავს იყრის ორგანო „ახალგაზრდა მუშა“-ს გარშემო, რომელიც 20.000 ცალი იბეჭდება.

ნორვეგიის ახალგაზრდობის ორგანო „კლასიური ბრძოლა“ 12.000 ახალგაზრდას აკავშირებს.

და განა გუშინ არ იყო „მებრძოლთა ხმა“ რომ გვაკავშირებდა ერთ მთლიან ორგანიზაციაში შავი ზღვიდან ფოთლომდე, კავკასიონის ქედიდან აჭარახალციხის მთებამდე?

ამრიგად, როგორც ხედავთ პრესა არის ის შემაერთებელი ძალა, რომელიც მის გარშემო იკრებს და ერთ მთლიან სახეს აძლევს ახალგაზრდათა მოძრაობას. და ჩვენც დროებითი დუმილი უნდა დავარღვიოთ და ქართველ ახალგაზრდობას ჩვენი სიტყვა უთხრათ, გავაგებინოთ ჩვენი აზრი ქართველი ერის აწმყოსა და მომავალზე; დავირაზმოთ ერთ მთლიან ორგანიზაციაში, რათა მსოფლიო ახალგაზრდათა მოძრაობაში ჩვენც ჩვენი პატარა წვლილი შევიტანოთ. გვახსოვდეს, ჩვენი მომავალი ჩვენს ახალგაზრდობაზეა დამოკიდებული; ახალგაზრდობის ჩაბმა საზოგადოებრივ მუშაობაში მოასწავებს დახარჯული ენერგიის ყოველი წუთის ანაზღაურებას.

---

სოციალისტური ახალგაზრდობა რევოლუციის გმირია და ჩვენც ხელიდან არ უნდა გავუშვათ ის, რათა შევქმნათ გაკაჟებული ნებისყოფის მტკიცე შტაბი, რომლის რიგებიც უძლეველი იქნება ყველასათვის; იმდენად, რამდენად ძლიერად და ფართოდ გაიზრდება ჩვენი ორგანიზაცია, მტკიცე იქნება რწმენა ჩვენი აუცილებელი გამარჯვებისა.

რევოლუცია აგიზგიზებული ცეცხლია, რომელიც შიშის ზარსა სცემს მტრებს; ის სიკვდილი და სიცოცხლეა ერთად აღებული და ჩვენც ახალგაზრდულის თავდადებით უნდა შემოვკრბეთ რევოლუციონურს ქარცეცხლში შობილს ჩვენს ორგანოს „ახალგაზრდათა ხმა“-ს გარშემო, რათა ჩვენი ხმა ვამცნოთ საქართველოს მომავალს—ქართველ ახალგაზრდობას.

მაშ გაუმარჯოს ჩვენს რიგებს.

გაუმარჯოს „ახალგაზრდათა ხმა“ ს.

ასიდორე გოგორიშვილი.

---

„ორი საგანი უნდა დაიხატოთ წინ მოსწავლე ახალგაზრდობამ: სოციალიზმი და ეროვნული თავისუფლება; შრომა და მშრომელი ხალხი, ერი და ეროვნება! აი თქვენი სათაყვანებელი საგანი, ამისათვის უნდა გასწიროთ თავი, ამას უნდა უძღვნათ თქვენი უკანასკნელი სალამი“! (პარიზის „საქართველო“,—1904 წ.)

---

## ახალგაზრდათა ხმა

დღეიდან კვირაში, ხუთშაბათობით ჩვენ გაზეთის მეოთხე გვერდი დაეთმობა ჩვენი კავშირის ორგანოს ახალგაზრდათა ხმას. დიდიხანია პრესის საშუალებით ჩვენი ხმა არ სმენია ქართველ ახალგაზრდობას. თუ რა მნიშვნელობა ქონდა ჩვენი პრესის გამომცემლობას ამისათვის საჭიროა გავიხსენოთ „მებრძოლთა ხმის“ გამოცემის დრო. ეს ბრწყინვალე დრო ჩვენი პარტიის და ახალგაზრდობის ცხოვრებაში, როდესაც ჩვენ მუშაობას ეტყობოდა სიხალისე და სიცხოველე, ამის თავდები იყო ჩვენი გამარჯვება ახალგაზრდობაში. ჩვენ რიგებს ყოველთვის ამშვენებდა მებრძოლი ახალგაზრდობა. მას დიდი ისტორიული წარსული აქვს ჩვენ პარტიაში, რაც აუცილებლათ ჩვენი პარტიის ისტორიაში წითელი ასოებით იქმნება აღნიშნული.

ახალგაზრდობა ყოველთვის მტკიცე დარაჯი იყო ჩვენი იდეების და მაგრათ ეჭირა ხელში ჩვენი წამებული დროშა. მას ჩვენს მსოფლმხედველობასთან აერთებს ეროვნული და სოციალისტური იდეები. რისი მიზეზებიც როგორც ჩვენ ისტორიულ წარსულში, ისე თანამედროვე პრობლემების სწორ გაგებაში მარხია. ამ იდეების გავრცელების საქმეს დიდ დახმარებას უწევდა ჩვენი პრესა. ის აკავშირებდა ჩვენს ახალგაზრდობას ორგანიზაციულად, მაგრამ რამოდენიმე წელია შესწყდა მისი გამომცემლობა. დღეიდან კვლავ იწყება ახალი პერიოდი ჩვენს პარტიის და ახალგაზრდობის ცხოვრებაში. ამას მოითხოვს როგორც ჩვენი, ისე საზოგადოთ დღევანდელი მდგომარეობის აუცილებლობა. ერთის მხრივ ეს ის დროა, როდესაც ჩვენ გვიხდება ყოველ-მხრივ ბრძოლა ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოთ. დღეს, როდესაც აწეწილ-დაწეწილია საერთაშორისო მდგომარეობა და ცხოვრების მიერ წარმოჭრილი ყოველი საკითხი ჩვენგან პასუხს ითხოვს, როდესაც ჩვენ მეორე მხრივ ახალგაზრდობის ნაწილი უნდობლობის თვალით გვიყურებს, საჭიროა კვლავ ისმოდეს ჩვენი ხმა ჩვენი პრესის საშუალებით რათა გაფანტულ იქმნას ეს წყვდიადი და კვლავ ჩვენი ახალგაზრდობა დაადგეს სწორ გზას.

აგრეთვე საჭიროა ჩვენს პლატფორმაზედ ყოველ ჩვენგანს ჭეშმარიტი წარმოდგენა ჰქონდეს და ამ მხრივ დიდი ნაბიჯია გადადგმული ახ. კავშირის მიერ, რასაც აღფრთოვანებით ვეგებებით.

სალამი „ახალგაზრდათა ხმას“.

გ. მდივანი.

---

„ცხოვრება თქვენი უნდა იყოს ხალხის ცხოვრება, რომლის გარეშე უნდა მოგესპოთ ყოველივე სუნთქვა და მოძრაობა. ცხოვრება,—მხოლოდ შრომით ცხოვრება. სხვა არსებობას არავითარი აზრი არა აქვს!“ (პარიზის „საქართველო“.—1904 წ.)

---

## რევოლუციის ხუთი წლის თავზე

ხუთი წლის წინად მეფის მთავრობა თავისი პოლიციითა და ჟანდარმებით სულს უხუთავდა მთელ რუსეთს. მეფის მთავრობა ციხე და სახრჩობელით უპასუხებდა მათ, ვისაც კი დაებადებოდა სურვილი თავისუფლებისა. ასე ექცეოდენ თავის საკუთარ ხალხს და ადვილი წარმოსადგენია თუ როგორ მოექცეოდენ არა რუსებს. მათ საქართველოში მოსპეს ქართული ენა, აღკრძალეს შკოლებში ამ ენაზე სწავლება. გზავნიდენ საქართველოში ისეთ მოხელეებს, რომელნიც აუტანელ მდგომარეობაში აყენებდენ მცხოვრებთ. ამასთან ერთად იმპერიალისტური ომის წარმოებამ კიდევ უფრო გაამწვავა, გააძლიერა და უკიდურესი, აუტანელი პირობები შექმნა. ხალხმა ველარ მოითმინა მუდმივი ტანჯვაწვალება, გაჭირვება, სასტიკი მონობა და მოახდინა აქტიური გამოსვლა თვითმპყრობელობის ტახტის დასამსხვრევად და ხანმოკლე შებრძოლების შემდეგ მშრომელმა ხალხმა მის ნანგრევებზე ბრწყინვალე გამარჯვების—ძლევის დიადი დროშა აღმართა. განუსაზღვრელი იყო ის საერთო ზეიმი და აღფრთოვანება, რომელიც ძველი მთავრობის დამხობამ გამოიწვია დიდი რუსეთის მშრომელ ხალხში და დამონავებულ ერებში,—განსაკუთრებით საქართველოში. მაგრამ ის იმედები, ის ბრწყინვალე და დიადი ლოზუნგები, რომლებსაც რევოლუციას უსახავდენ და მრავალ-ტანჯულ მშრომელ ხალხს ბედნიერებას უქადდენ ვერ განხორციელდენ, რადგანაც ძალაუფლება ხელში ჩაიგდო წვრილ ბურჟუაზიულ მემამულეთა პარტიების წარმომადგენლებმა, რომელთაც თვის ბატონობის განმავლობაში რევოლუცია დამარცხებამდე მიიყვანეს, დიახ, სწორედ ნამდვილ დაღუპვის კარამდე მიიყვანეს რევოლუცია, რომელიც მომავალს უიმედობის ნისლში ბურავდა. მაგრამ ყოველივე ასეთს ბოლო მოეღო რუსეთში უფრო ადრე, ვიდრე საქართველოში და სახელმწიფოს სათავეში მოექცა არა წვრილი ბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენლები, არამედ მშრომელთა კლასის. მშრომელი მასსა აღფრთოვანებული თვისი საუკეთესო მომავლით, ხუთი წლის განმავლობაში. თავგანწირვით იცავდენ რევოლუციას და მკაცრ ბრძოლას აწარმოებდენ რევოლუციის მტრების წინააღმდეგ. რადგანაც ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ რევოლუციის გამარჯვება საწინდარია მშრომელთა კლასის კაპიტალისგან განთავისუფლებისა.

ნოე მესხი.

---

დამოუკიდებელი, განკერძოებული საქართველო, შესაძლებელიც რომ იყოს, არაა სასურველი იმიტომ, რომ თავისუფალ ორგანიზმათ გამხდარ სახელმწიფოს თანდაყოლილი აქვს ტენდენცია: იზრდოს, გაფართოვდეს; ამგვარივე ტენდენცია ექნება საქართველოს და მის მეზობელ დამოუკიდებელ სახელმწიფოებსაც, ამას შედეგად ის მოჰყვება, რომ ან საქართველომ ვინმე თავის მეზობელთაგანი უნდა ჩანთქას, ან თათონ უნდა იქნეს ჩანთქმული... დამოუკიდებელ საქართველოსთან დაჰყვება სხვა სახელმწიფოთა ნაკლულევანებანიც: აუარებელი ჯარის საჭიროება, შოვინიზმი, საბაჟო და ბოლოს—კარჩაკეტილობა“. (პარიზის „საქართ.“—1904 წ.)

---

## პარტიული ცხოვრება

ხუთშაბათს 2 მარტს, საღამოს 6-ს საათზე ქუთაისის მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა კლუბის დარბაზში მოწაფე ანდრო გელოვანმა წაიკითხა მოხსენება: ჩვენი ფილოსოფია.

მოხსენებაზე დასწრება უფასო იყო, რომელსაც დაესწრო მრავალი ახალგაზრდობა და ჩვენი უმფროსი ამხანაგებიც. საკამათოდ ოფიციალურად მოწვეული იყო კომუნისტებიდან.

კრება გახსნა ამხ. ბესარიონ ჟღენტმა.

ამხანაგის მოხსენება ფრიად შინარსიანი იყო. ყველა დებულებები მშვენივრად გააშუქა მსმენელთა წინაშე. მოხსენებამ 3—საათი გასტანა. დასასრულ ვიტყვით, რომ დინჯი, დარბაისლურად წარმოთქმულმა შინაარსიანმა მოხსენებამ მსმენელებზე მშვენიერი შთაბეჭდილება დასტოვა, რის შემდეგაც მომხსენებელი ტაშით დააჯილდოვეს.

ოპონენტად კომუნისტებიდან არავინ გამოსულა. იყო შეკითხვები ლექტორმა მოხდენილი და დასაბუთებული პასუხი გასცა, რისთვისაც მრავალრიცხოვანმა საზოგადოებამ ლექტორი ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვა.

თავმჯდომარემ მომხსენებელს დამსწრე საზოგადოების სახელით მადლობა გადაუხადა.

ნ. მ.

—

არჩილის გარდაცვალების 9 წლის თავის აღსანიშნავად, პარტიის ცენტრალურ კლუბის დარბაზში 5 აპრილს მოხდება გახსნა ახალ. პოლიტიკური წრის, რომელსაც ეწოდება „არჩილის წრე“.

ამ წრის განყოფილებები უნდა დაარსდეს ადგილობრივად ყველა ახალგაზრდათა ორგანიზაციებთან. წრის პროგრამას და წესდებას მიიღებს ორგანიზაციები.

—

ახალგაზრდათა ორგანიზაციებს ევალებათ დანიშნონ პასუხისმგებელი კორესპონდენტები, რომლებმაც რეგულიარულად უნდა მოაწოდონ რედაქციას ცნობები ახალგაზრდათა ცხოვრებიდან და პარტიული მუშაობიდან.

აგრეთვე ევალებათ ამხანაგებს მოგვაწოდონ სხვა და სხვა მასალები ჟურნალისათვის.

ახალგაზრდათა კავშირის წესდება დაიბეჭდება შემდეგ ნომერში.

—

შემდეგ ნომერში დაიბეჭდება ამხ. სერ. ამილახვრის მოხსენება „ახალგაზრდათა ორგანიზაციის“ შესახებ, რომელიც იყო წაკითხული პარტიის 1 ლ ყრილობაზე.

---

პარლამენტის საშუალებით კი არ განვახორციელებთ სოციალიზმს, არამედ მშრომელი ხალხის სარევოლიუციო მოქმედებით. (პარიზის „საქართველო“. 1904 წ.)

---

## „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული“

სწორედ ამ პრინციპით ხელმძღვანელობდნენ ძველი ბერძნები და ამიტომაც აღწევდნენ გარეგან ფორმათა და სულიერ განვითარების უმაღლეს ჰარმონიას. ბერძნებზე უკეთესი მოქანდაკენი ვერც ერთ ერს ვერ შეუქმნია, რადგან მათზე მეტად ვერავის ვერ შეუგნია ადამის საუკეთესო ქვაბი.

აღორძინების ეპოქიდამ კაცობრიობა ცდილობს ისწავლოს ბერძნებისაგან კულტურის შექმნა. დაიწყეს ლიტერატურით, ქანდაკებით უკანასკნელად კი სხეულის კულტურაც მიიღეს

ეს კი ხვედრად ახალგაზრდობას ერგო

ყველა განათლებულ ქვეყნების ახალგაზრდობა მთელი თავის შემადგენლობით მონაწილეობას იღებს ტანვარჯიშობაში და ჯიბრვარჯიშში (სპორტი) სტოკჰოლმის ოლიმპიალურ თამაშობებში გაიმარჯვეს უმეტესად ამერიკელებმა.

როგორ არის იქ დაყენებული ეს საქმე? ყოველ უნივერსიტეტში არსებობს ტანვარჯიშის და ჯიბრვარჯიშის საზოგადოებანი. აქ იღებენ მარტო იმათ ვინც სწავლაში წარმატებას მიაღწევენ. მათ დაქირავებული ჰყავთ მასწავლებლები, რომელნიც ზოგჯერ პროფესორებზე მეტ ჯამაგირს იღებენ. ტანვარჯიშობა საყოველთაოდ გავრცელებულია და ყველანიც იღებენ მონაწილეობას შეჯიბრებებში.

ჩვენში კი... ჩვენში ახალგაზრდა ან მარტო სწავლობს ან მარტო უქმად დროს ატარებს ეძლევა, განა საჭიროა კიდევ გამეორება ისედაც ხშირად თქმულ ჭეშმარიტებათა ტანვარჯიშობის შესახებ?

ერთი თვის წინად სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ერთმა ჯგუფმა მოიწადინა ფეხბურთის გუნდის დაარსება, მაგრამ თვისი სურვილი ვერ მოიყვანა სისრულეში.

გახარებული იწყება იქმნება ამან უშველოს მათ თავის განზრახვის ასრულება. იმედია სხვებიც მიჰბაძვენ მათ და დაარსებენ უნივერსიტეტში მძლეოსნურ, ჩოგბურთის მოცურავეთა და სხვა საზოგადოებებს. ახალგაზრდობისათვის ტანვარჯიშობა აუცილებელია. დროა მას ჯეროვანი ყურადღება მივაქციოთ.

გიტო გიორგაძე.

---

ადვილად შესაძლებელია, რომ რუსეთის რევოლიუცია ჩქარის ნაბიჯით მიუახლოვდეს იმ საზღვარს, სადაც თავდება ბატონობა კაპიტალისა და დამონება შრომისა, ადვილად მოსალოდნელია, რომ მის ახლო მომავალში სოციალურ რევოლიუციის მიმართულება მიეცეს.“ (პარიზის „საქართველო“.—1905 წ.)

---

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი.

დაიკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მოცემული პირადობის მოწმობა გიორგი კონსტანტინეს ძე გიორგაძის სახელზე; რასაც ვაცხადებ გაუქმებულად.

დაიკარგა პირადობის მოწმობა მოცემული ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტიდან. ჩაითვალოს გაუქმებულად.

სიდონია კოსტავა.

დაიკარგა პირადობის მოწმობა, მოცემული ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტისგან ეფროსინე ალექსანდრეს ასულ ხოფერიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.